

ახალქალაქში საიუველირო წარმოება გაფართოვდა

საოჯახო ბიზნესის წარმატებული მაგალითია საიუველირო საამქრო, რომელიც ახალქალაქში, ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში დაფინანსდა.

არმენ კავნაკსიანი ახალქალაქელი ახალგაზრდა იუველირია. ის ხელობას 5 წლის წინ სომხეთში დაეუფლა. მანამდე რუსეთში მამასთან ერთად მშენებლობაზე მუშაობდა. არმენს ყოველთვის უნდოდა, მიღებული ცოდნა და დაგროვილი გამოცდილება მშობლიური ახალქალაქისთვის მოეხმარა. ENPARD - ის პროგრამამ კი ამის შესაძლებლობა მისცა. პროექტის დაწყებაში, მეუღლე მარი ირიციანი დაეხმარა, რომელიც აქტიურადაა ჩართული საოჯახო ბიზნესში. ის მუდმივად ადევნებს თავსუფროს ოქროს ნაკეთობების უახლეს კატალოგებს და მომხმარებელს ტრენდულ მოდელებს სთავაზობს. ახალქალაქში და ზოგადად სამცხე-ჯავახეთში ოქროს ნაკეთობებზე მაღალია მოთხოვნა. საიუველირო ნაწარმს ძირითადად ქორწილებსა და დაბადების დღეებზე საჩუქრებად იყენებენ.



პროექტის შედეგად დასაქმდა: 2 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 10,000.00
ევროკავშირის დაფინანსება: 6,000.00 ლარი
თანადაფინანსება: 4,000.00 ლარი



არმენი ახალქალაქში კარგ იუველირად ითვლება და მომხმარებელიც ბევრი ჰყავს. ბევრ მომხმარებელს კი სხვადასხვა გემოვნება აქვს და ყველას დაკმაყოფილება მოძველებული დანადგარებით შეუძლებელია.

“გრანტის თანხა გონივრულად გამოვიყენეთ და თანამედროვე დანადგარები შევიძინეთ: არგონის წერტილოვანი შედუღების აპარატი, მიკროსკოპი შტატივზე, პნევმო გრავირების აპარატი, გამოსაშრობი ღუმელი და სხვ. ძვირფასი ლითონებისგან ვამზადებთ ბეჭდებს, სამაჯურებს, საყურეებს, მიწივებს, გულსაკიდებს და სხვა. სამკაულის ესკიზს კლიენტის მოთხოვნებისამებრ ვადგენთ, არის შემთხვევები, როდესაც მომხმარებელი საკუთარი ესკიზით მოდის და გვთხოვს, მისი მოთხოვნა აბლოლუტური სიზუსტით დავაკმაყოფილოთ,” - ამბობს მარი ირიციანი.





თანამედროვე აპარატურა მართლაც აბსოლუტური სიზუსტით და სინატიფით ასრულებს გრავირებას, მოჭედვას, მოსევადებას, ოქსიდირებას და სხვა საიუველირო პროცედურებს. თუმცა ამ შემთხვევაში შედეგი მხოლოდ აპარატურაზე დამოკიდებული არ არის, დიდ როლს იუველირის მაღალი პროფესიონალიზმიც თამაშობს.

“იუველირის პროფესიაში მნიშვნელოვანია სიზუსტე. რაც არ უნდა პროფესიონალი იყო, სიზუსტის დასაცავად საჭიროა ხარისხიანი მიკროსკოპი. მადლობა მინდა გადავუხადო ევროკავშირს, რომლის დახმარებითაც თანამედროვე და ძალიან მაღალი ხარისხის მიკროსკოპი შევიძინეთ. მას ჩემი კოლეგა ახალქალაქელი იუველირებიც იყენებენ. 1 წლია, რაც განახლებული აპარატურით ვმუშაობთ. ნაკეთობათა ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა და შეკვეთებმაც იმატა. დაგეგმილი მაქვს საამქროს გაფართოება და მეტი ადამიანის დასაქმება. მინდა, სხვებმაც მიზამონ ჩემ მაგალითს და მშობლიურ მიწაზე შეეცადონ საკუთარი საქმის წამოწყებას. ეს აუცილებელია რეგიონის და ზოგადად, ქვეყნის განვითარებისათვის”, - აცხადებს არმენ კავნაკსიანი.



ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხედუწყობა ახალქალაქში პროექტის ფაზგდებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩნოიხები აჩიან მეხსი ქოხფსი, ELVA საზოგადოებრივი ჩაჩთურობა და დასავდეთ კოჩკის განვითარების პაჩნოიხოობა.

ევროკავშირის მხახს უჭეხს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხოჩიედდება 2013 წლიდან საეჩთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევო. ENPARD-ის ძიიითადი მიზანი საქართველოში სოფლად სილაიბის დაძევაა. პროგრამის პიხვედი ფაზის პიოტიგეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხედუწყობა, ხოლო მეოხე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზიდას. დამატებითი ინფოჩმაციისათვის იხიდეტ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.